



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემია

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე სწავლის

პერიოდში მიღებული განათლების

(ECTS კრედიტების) აღიარების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი არეგულირებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში აკადემია) შიდა მობილობის/ აღდგენის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს;

2. ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება მსმენელის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

3. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით და ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით;

4. ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შიდა მობილობის მსურველ მსმენელთა კრედიტების აღიარება ფორმდება შესაბამისი დასკვნით ბაკალავრიატის სკოლის დირექტორის მიერ. აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართულები არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო სამმართველო, ბაკალავრიატის სკოლის აკადემიური პერსონალი და მიმართულების ხელმძღვანელები.

II. კრედიტების აღიარების რეგულაციები

1. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მსმენელების კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა;

ბ) მსმენელების მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს);

2. მობილობის მსურველი მსმენელებისათვის აღიარებას ექვემდებარება ე.წ. აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები, ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, თავისუფალი კრედიტები და აგრეთვე დამატებითი (minor) სპეციალობის სასწავლო კურსების კრედიტები; შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება მსმენელის მიერ გავლილი და სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

3. თუ მსმენელის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურსის დასახელებას, დასაშვებია ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო

სპეციფიკური სასწავლო კურსების აღიარება შეიძლება მოხდეს კურიკულუმის სასწავლო კურსებთან თემატური შეთავსების საფუძველზე;

4. დასაშვებია მსმენელის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ასეთ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში;

5. თუ შიდა მობილობის მსურველ მსმენელს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა სრულად (60 კრედიტი), პროგრამა შესაძლებელია აღიარებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ აკადემიაში დამატებითი პროგრამის ანალოგი არ არსებობს და აღნიშნული სასწავლო კურსები გაიწერება დიპლომის დანართში;

6. თუ შიდა მობილობის მსურველ მსმენელს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა არასრულად, მსმენელს ეძლევა რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით სპეციალობას შეესაბამება მის მიერ განვლილი პროგრამის ნაწილისა და თავისუფალი კრედიტების კონცენტრაცია;

7. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, ბაკალავრიატის სკოლა ამ სასწავლო კურსებიდან, მსმენელთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც მსმენელს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, იმ შემთხვევაში თუ მსმენელს სურს, რომ მის მიერ შესწავლილი ყველა თავისუფალი სასწავლო კურსი გაწერილი იყოს დიპლომის დანართში, აღიარებულ იქნება აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ყველა სასწავლო კურსი პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება და ჩაიწერება დიპლომის დანართში;

8. შიდა მობილობის შემთხვევაში მსმენელის მიერ გავლილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები შესაძლებელია აღიარებული იქნეს როგორც ე.წ. თავისუფალი არჩევითი კურსი; თუ მსმენელის მიერ გავლილი ან/და აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა უტოლდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, მსმენელი აღარაა ვალდებული სწავლის შემდგომ პერიოდში შეისწავლოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სასწავლო კურსები.

9. თუ მსმენელის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსხვავებულია ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობისგან, შესაძლებელია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება, თუ სასწავლო კურსის მიზნებით დასახული შედეგები მიღწევადია აღნიშნული კრედიტების ფარგლებში.

III. რეკომენდებული სასწავლო სემესტრი

1. აღიარებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით მსმენელი სწავლას განაგრძობს ქვემოთ მოყვანილი შესაბამისობით, სათანადო სემესტრის მსმენელად:

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	შესაბამისი სემესტრი
15 კრედიტამდე	I სემესტრიდან
16-45 კრედიტი	II სემესტრიდან
46-75 კრედიტი	III სემესტრიდან
76-105 კრედიტი	IV სემესტრიდან
106-135 კრედიტი	V სემესტრიდან
136-165 კრედიტი	VI სემესტრიდან
166-195 კრედიტი	VII სემესტრიდან
196 კრედიტიდან	VIII სემესტრიდან

2. სემესტრის განსაზღვრისას, მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც ახალ კურიკულუმში სავალდებულოა, მაგრამ მობილობის მსურველ მსმენელს გავლილი ან აღიარებული არა აქვს;

3. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან

გამომდინარე, შესაძლებელია მსმენელს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რაც მსმენელს ეცნობება წინასწარ.

IV. მსმენელის უფლებით აღდგენა

1. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული მსმენელი განიხილება მსმენელის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს ე.თ.ა.-ს სტატუსის აღდგენის თაობაზე.

2. აკადემიიდან არა უმეტეს 10 წლის წინ გარიცხული/ამორიცხული მსმენელის აღდგენის წესით ჩარიცხვა აკადემიაში ხორციელდება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

3. მსმენელის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებისას მოქმედ საბაკალავრო პროგრამასთან თავსებად საგნებში მიღებული შეფასებები რჩება უცვლელი.